

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ტრანსპლანტოლოგია (უჯრედთა, ქსოვილთა და ორგანოთა ტრანსპლანტაცია)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი კორძაია

სავარაუდო საკვლევი თემა: ალტერაციული, კომპენსაციური და რეგენერაციული პროცესების უჯრედული მექანიზმები (ქოლესტაზი, ღვიძლის უჯრედული და ორგანული ტრანსპლანტაცია).

კვლევითი თემა წარმოადგენს სსიპ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო პროგრამის ნაწილს, რაც განაპირობებს მის დაფინანსებას.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დოქტორანტის მომავალ პროფესორად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შექმნას.

• **სავარაუდო საკვლევი პრობლემები:**

ღვიძლის რეზექცია;

ცოცხალი დონორიდან ღვიძლის ნახევრის გადანერგვა;

ჰეპატოციტების ტრანსპლანტაცია;

ღვიძლის რეგენერაცია;

ღეროვანი უჯრედების როლი რეგენერაციაში;

ქოლესტაზი;

• **პროგრამის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი შედეგი:**

კვლევის შედეგად დადგინდება ღვიძლის რეგენერაციის მოლეკულური, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმები. განისაზღვრება როგორც ტრანსპლანტირებული, ისე დონორში დარჩენილი ღვიძლის ნახევრის რეგენერაციაში და მასში მონაწილე უჯრედული ტიპები, მათ შორის, ღეროვანი უჯრედების მონაწილეობა და მათი ხარისხი. დაზუსტდება ქოლესტაზის დროს ახალი ნაღვლის სადინრების წარმოქმნის მიზეზები და ამ პროცესში მონაწილე უჯრედების ზუსტი ტიპები.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ღვიძლის ტრანსპლანტაციის კლინიკაში დანერგვისათვის პირობების შექმნას, როგორც ტექნიკური რეალიზაციის, ისე ცოდნის ბანკის თვალსაზრისით.

პროგრამის რეალიზაციის შედეგად:

ა. დამუშავდება და დაინერგება ღვიძლის ნაწილობრივი და სრული ორთოტოპული გადანერგვის მოდელი, რომელიც ხასიათდება მაღალი მეცნიერული ღირებულებით.

ბ. დადგინდება “ნეოდუქტულოგენეზის” მიზეზები და მაჩვენებელი ჩართული უჯრედული ტიპები.

მოხდება:

- სტატიების მომზადება საერთაშორისო მიმოქცევაში მყოფი ჟურნალებისათვის.
- პროექტის მომზადება და წარდგენა გრანტის მოსაპოვებლად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია – უჯრედთა, ქსოვილთა და ორგანოთა ტრანსპლანტაციის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ მომავალი დოქტორი იქნება “ტრანსპლანტოლოგიის” სპეციალისტი, რომელიც სრულად ფლობს ტრანსპლანტოლოგიაში დღეისათვის არსებულ სამეცნიერო შედეგებს, დეტალურად იცნობს ტრანსპლანტოლოგიის ზოგადბიოლოგიურ და ბიოეთიკურ პრობლემებს და ათვისებული აქვს რომელიმე კონკრეტული უჯრედული ან ორგანული ტრანსპლანტაციის ტექნიკა.

ცოდნა – პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

a) მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები;

b) სწავლების თანამედროვე მეთოდები;

შემდეგი დისციპლინები: ჰისტოლოგია, შედარებითი ანატომია, ემბრიოლოგია, ზოგადი პათოლოგიური ანატომია, ჰეპატო-ბილიალური ქირურგია და ტრანსპლანტოლოგია, იმუნოლოგია, ბიოეთიკა.

g) ტრანსპლანტაციის თანამედროვე თეორიები და მოდელები;

დასაქმების სფეროები:

სამეცნიერო და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი მიმართულება (დეპარტამენტი), კვლევითი ინსტიტუტი, კლინიკა (სადაც ხორციელდება ტრანსპლანტაცია). ამ უკანასკნელში დოქტორანტის დასაქმების სფეროს განსაზღვრავს მისი სპეციალობა (ექიმი ან თუ ბიოლოგი).

სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს.

დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები:

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. სასურველია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. ამგვარი გამოცდილების მქონე პირს მიენიჭება უპირატესობა, რადგან მას ექნება სამეცნიერო კვლევებისა და ლიტერატურის ანალიზის გარკვეული გამოცდილება.

არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებლად მიგვაჩნია 5 დოქტორანტის მიღება.